თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33
2023 წლის 28 დეკემბერი

ქ. თერჯოლა

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' 63-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №2 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge 02.02.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.126.016244) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების დანართის მე-11 მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-4 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტი;

ბ) მე-12 მუხლიდან ამოღებული იქნეს მე-8 პუნქტი;

გ) მე-19 მუხლიდან ამოღებული იქნეს მე-5 პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტი;

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ბარათაშვილი**